

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 11**

ქ.თბილისი

7.03.2017

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

ირინა აბულაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდის - „საქართველო“ (MCA - Georgia)
„მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის
მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის
სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგინეიძე - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების
მენეჯერი;

მარინა უშვერიძე - PH-International - საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების
პროგრამის დირექტორი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის“ აკადემიური
დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის
მოწვეული პროფესორი.



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსი(მ/შ)

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
სპეციალისტი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა
დეკანოზი თომა სიხარულიძე, პრორექტორი;
ირმა ჯიბუტი, პრორექტორი მატერიალურ დარგში;
ნანა მგალობლიშვილი, აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინატორი.
2. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვა
მარინა გორშკოვა, დირექტორი;
დარინა რეხვიაშვილი, დირექტორის მოადგილე;
ლეილა მალრაძე, ხარისხის მართვის მენეჯერი.
3. შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო
სკოლა
დეკანოზი თევდორე (ივლიანე) ბასილაია, ადმინისტრაციის უფროსი;
ილუმენი მუსელიანი, სწავლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
ეკა ყოლბაია, ფასილიტატორი.
4. შპს თამარიონი
თამარ უთნელიშვილი, დირექტორის მოადგილე.
5. შპს მჭევრი
თამაზ ნაცვლიშვილი, გენერალური მენეჯერი;
ლია გელენიძე, აღმასრულებელი მენეჯერი.



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

- ნინო ბალანჩივაძე;
- მაკა ნადარეიშვილი;
- ქეთევან ბოტკოველი;
- თამარ ჩხიკვაძე;
- ნელი ნასყიდაშვილი;
- ნანა ედიშერაშვილი;
- დიმიტრი პოპოვი;
- თამარ კუპრაშვილი;
- სერგო დურგლიშვილი;
- ქეთევან ბაცანკალაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:15 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ- ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშკოვას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი, შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.



1. ა(ა)იპ- ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ და მაკა ნადარეიშვილმა, რომლებმაც ისაუბრეს დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1.1 მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტის, ნინო ბალანჩივაძის განმარტებით, დაწესებულებას მფლობელობაში ჰქონდა 2227კვ.მ ფართობის სამ სართულიანი შენობა, რომელიც უზუფრუქტით იყო დატვირთული 25 წლის ვადით (2041 წლის 5 აგვისტომდე).

სკოლაში იყო 13 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, კაბინეტები, ლაბორატორია, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განკუთვნილი ოთახი, ექთნის, ზედამხედველის და გახანგრძლივებულის ოთახები, 2071 წიგნით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, სააქტო დარბაზი, სველი წერტილები.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის მატერიალური ბაზა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტებმა სკოლას გაუწიეს რეკომენდაცია გარე პერიმეტრის ვიდეო კამერების რაოდენობის გაზრდის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გარე პერიმეტრს აკონტროლებდა მხოლოდ 2 კამერა, რის გამოც პერიმეტრის გარკვეული ნაწილი რჩებოდა მეთვალყურეობის გარეშე. ამავე დროს, ვიდეო კამერა არ იყო დამონტაჟებული სათადარიგო კარზე. შიდა პერიმეტრზე განთავსებული იყო 10 ვიდეო კამერა. ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გააფორმა ხელშეკრულება შპს მეგაპიქსელთან ვიდეო კამერების შესყიდვის შესახებ. დაწესებულებამ საბჭოს სხდომაზე წარმოდგინა ვიდეო კამერების შესყიდვის და მათი დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრი თამარ კაპანაძე დაინტერესდა მოსწავლეთა რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სკოლაში სწავლობდა 258 მოსწავლე, სწავლება

მიმდინარეობდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლას ჰყავდა ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, რომლებთან მუშაობა მიმდინარეობდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შემუშავებული გეგმის საფუძველზე.

1.2 ადამიანურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა 44 თანამშრომელი, რომელთაგანაც 32 პედაგოგი დარეგისტრირებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში, 6 პედაგოგს მინიჭებული ქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, 22 პედაგოგს-პრაქტიკოსის, ხოლო 4 პედაგოგს არ ჰქონდა სტატუსი მინიჭებული. აღნიშნული ოთხიდან ორი დანიშნული იყო წრის ხელმძღვანლად, ხოლო ორს უდასტურდებოდა შესაბამისი კვალიფიკაცია, თუმცა, მათგან ამ ატაპზე არც ერთი იყო ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში

1.3 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით:

სკოლის საათობრივი ბადე აზუსტებდა სწავლების სამივე საფეხურზე გაკვეთილების განრიგს კლასების მიხედვით, საგნის მასწავლებელთა მითითებით. ასევე, შემაჯამებელი დავალებების განრიგს თითოეული კლასის და საგნის მიხედვით;

საათობრივი ბადის მიხედვით, გათვალისწინებული იყო ყველა სავალდებულო საგნის სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, სავალდებულო სტატუსით რუსული ენა ისწავლებოდა V კლასიდან.

მისიიდან გამომდინარე, სკოლა სთავაზობდა მონსწავლეებს შემდეგ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას: I-VII კლასებში საღვთო სჯული და VIII -XII კლასებში სახარების განმარტება.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ საგნებში მოსწავლეები არ ფასდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საღვთო სჯული და სახარების განმარტება ჩვეულებრივ საგაკვეთილო ცხრილში იყო ჩასმული, მოსწავლეს სურვილისამებრ შეეძლო გაკვეთილზე დასწრება.

X, XI და XII კლასებში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა არჩევით საგნებს: X კლასში საქართველოს ეთნოგრაფიას, XI კლასში - გეოგრაფიულ კვლევას, ხოლო XII კლასში - კინოხელოვნებას.

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა გახანგრძლივებულ სწავლებასა და სხვადასხვა წრეს: ფრენბურთი, კალათბურთი, საესტრადო სიმღერა, გალობა, გამოყენებითი ხელოვნება, საღვთო სჯული, ნორჩი მათემატიკოსი, ლიტერატურული სალონი, ეკოკლუბი. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო როგორც წრეების მიზნები, შინაარსობრივი ნაწილი და სამოქმედო გეგმები, ისე პროგრამები, ღონისძიებები და მათი განხორციელების შესაძლო ვადები.

სასკოლო გეგმით განსაზღვრული იყო შემაჯამებელი სამუშაოს განრიგი და მიზნები. პედაგოგების მიერ დაგეგმილი იყო ისეთი შემაჯამებელი დავალებების ფორმები,

როგორებიცაა ტესტები (დახურული და ღია კითხვებით), თხზულება, ესე და მოხსენება. თითოეული მათგანის შერჩევისას გათვალისწინებული იყო საგნის სპეციფიკა.

მასწავლებლებთან შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები: შემაჯამებელი დავალებები ძირითადად ერთი ტიპის - ტესტური იყო, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არ იყო გაკეთებული, ასევე მასწავლებლის მიერ შემუშავებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ძირითადად იყო ზოგადი და ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლეოდა პრობლემების იდენტიფიცირების ან მისი გადაჭრის საშუალებას.

სპორტის სახეობები, რომლებიც ტარდებოდა სკოლაში, არ ფიქსირდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმაში, თუმცა აღნიშნული აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი ვიზიტის პერიოდში იქნა გამოსწორებული.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა „სარექტორო წერა“ და რა გავლენას ახდენდა მოსწავლის შეფასებაზე.

ექსპერტ ნინო ბალაჩივადის განმარტებით, მოსწავლეთა საბოლოო შეფასების სისტემაში არ ფიგურირებდა გრაფა „სარექტორო წერა“ და ეს სკოლას სჭირდებოდა მოსწავლეთა მიღწეული შედეგების გასაანალიზებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ ირინა აბულაძემ სკოლის წარმომადგენლებს მიმართა შეკითხვით, თუ რა კეთდებოდა ხარისხის მართვის მიმართულებით და რამდენად ხდებოდა სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის განვითარების ჯგუფის გადაწყვეტილებით მასწავლებლის სახლიდან მოწვეულ იქნა ტრენერი, რომელმაც, სამი დღის განმავლობაში, მასწავლებლებს ჩაუტარა ტრენინგი მოსწავლეთა სასკოლო შეფასებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ რადგან სკოლის მოსწავლეებს არ ჰქონდათ რეპეტიტორებთან დამატებითი მეცადინეობის შესაძლებლობა, სკოლა იღებდა პასუხისმგებლობას მათი შემდგომი განათლებისათვის მომზადებაზე.

საბჭოს წევრი მარინა უშვერიძე დაინტერესდა იმ კითხვარების შედეგებით, რომლებიც სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა ყოველ კვირას სხვადასხვა საგნობრივი თემების გავლის შემდეგ იწვევდა პროფესორებს და მოსწავლეებს აცნობდნენ შესწავლილ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ მეცნიერულ სიახლეებს. მისი განცხადებით, კითხვარი კი სწორედ იმის დადგენას ემსახურებოდა, თუ რომელი სფეროს მეცნიერთა მოწვევას ისურვებდნენ მოსწავლეები ან მათი მშობლები.

საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე დაინტერესდა კლასში მოსწავლეთა რაოდენობით.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა იყო 26 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით, მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ- ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლას (ს/კ:242008965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

2. სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშოვას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და თამარ ჩხიკვაძემ. ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას ხარვეზი პრაქტიკულად არ დაუფიქსირდა.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა სკოლის მისიითა და დაარსების თარიღით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა დაარსებული იყო 2006 წელს.

ექსპერტის განმატებით სკოლის მისია შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მან საბჭოს გააცნო სკოლის მისია - „სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა, ჩვენი აღსაზრდელებისათვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი განათლების მიწოდება, სიახლეების ძიება, მათი პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაში ხელშეწყობა, კრიტიკული, დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების განვითარება. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მათი ინტეგრირება“.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა „სრულყოფისაკენ სწრაფვაში“.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან, სკოლასთან. მისი განცხადებით, ასვე დიდი იყო მოსწავლეთა დაინტერესება ცოდნის გაფართოების თვალსაზრისით, გაკვეთილების შემდეგ ისინი სერიოზულ მუშაობას ეწეოდნენ სიახლეების მოძიებასა და დანერგვაზე. ახორციელებდნენ სერიოზულ აქტივობებს, მოპოვებული ჰქონდათ მცირე გრანტები, აწარმოებდნენ ერთობლივ ღონისძიებებს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან ერთად.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლაში ამჟამად 112 მოსწავლე ირიცხებოდა, მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეებიც, რომლებიც საკმაოდ კარგად მეტყველებდნენ სახელმწიფო ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარე ირინა აბულაძე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის და როგორ ადგენდნენ მათ ენობრივ კომპეტენციებსა და საჭიროებებს.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, სწავლის დაწყებამდე, „საზაფხულო სკოლაში“ იღებდნენ ქართული ენის არმცოდნე მოსწავლეებს, რომელთაც სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასწავლიდნენ ქართულ ენაზე კომუნიკაციას. მათი ენობრივი კომპეტენციები კი ვითარდებოდა უშუალოდ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობით. ამასთან, სკოლას ჰყავდა მეორე ენის (სახელწიფო ენის) მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეხმარებოდნენ ენობრივი ბარიერის დაძლევაში.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში მუშაობდა 23 პედაგოგი. აქედან 4 იყო უფროსი მასწავლებელი, ხოლო 19 - პრაქტიკოსი. ყველა პედაგოგი ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.

საბჭოს წევრი მარინა უშვერიძე დაინტერესდა, თუ რა აქტივობებს ახორციელებდა სკოლა სამოქალაქო განათლების კუთხით.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ხორციელდებოდა რამდენიმე პროექტი, მათ შორის მოსწავლეთა მიერ დადგმულ იქნა სპექტაკლი, რომელიც ეხებოდა მათ თანატოლებში გავრცელებულ ძალადობრივ შემთხვევებს. ასევე, ხორციელდებოდა ისეთი აქტივობები, როგორიც იყო, მუზეუმებში ვიზიტები, პოეზიის საღამოები და დისკოტეკები.

საბჭოს წევრი არჩილ სუმბაძე დაინტერესდა, როგორ ხდებოდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება. სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა გადაადგილებას უზრუნველყოფდნენ თავად მოსწავლეთა ოჯახის წევრები. ამავე დროს, სკოლა უფასო სწავლას სთავაზობდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეებს.

საბჭოს წევრი გიორგი გიგიბერია დაინტერესდა ბოლნისის მუნიციპალიტეტში კერძო სკოლების რაოდენობით.

სკოლის დირექტორის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მხოლოდ ორი კერძო სკოლა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშოვასათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპს კერძო საშუალო სკოლა დავითიანი - მარინა გორშოვას (ს/კ:225391652) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

შპს - ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ დაწესებულების წარმომადგენელ პირებს არ ჰქონდათ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - მინდობილობა.

წარმომადგენლებმა შუამდგომლობით მიმართეს საბჭოს 1 საათით საკითხის განხილვის გადადების თაობაზე, მინდობილობის წარმოდგენის მიზნით.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი შუამდგომლობას საკითხის განხილვის მცირე ხნით გადადების შესახებ.

საბჭოს წევრმა თამარ კაპანაძემ 16:30 წუთზე დატოვა სხდომა.

3. შპს თამარიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ნელი ნასყიდაშვილმა და ნანა ედიშერაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ შპს. „თამარიონის“ გორის კერძო სკოლაში სწავლება ხორციელდებოდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლა მდებარეობდა ქალაქ გორში, გმირების ქუჩა № 28-ში მდებარე ორსართულიან სახლში. სახლის მესაკუთრე იყო თიბისი ბანკი, რომელთანაც შპს „თამარიონს“ 2017 წელს გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება, 7 წლის ვადით.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა მიუღებლად მიიჩნია სკოლის შენობაში ავტოსკოლის ფუნქციონირება, რაც საბჭოს წევრებისათვისაც გაუმართლებელი აღმოჩნდა.

სკოლის დირექტორის განმატებით, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ ავტოსკოლა სკოლაში აღარ ფუნქციონირებდა და იგი გადაიტანეს სხვა შენობაში.

დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა მიშენებული ორი ოთახი, რომელშიც სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ განთავსდებოდა დამატებითი კლასები.

ექსპერტებმა აღნიშნული ოთახების არსებობა ვერ დაადასტურეს, რადგან ვერ მოხდა ფიზიკურად მათი დათვალიერება.

ექსპერტ ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით სკოლის შენობა აღჭურვილი იყო 24 საათიანი მუშაობის რეჟიმისა და 2 კვირიანი ხანგრძლივობის მეხსიერების მქონე 4 სამეთვალყურეო კამერით და ვიდეომეთვალყურეობის ბლოკით, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა (3 ვიდეოთვალი) და გარე პერიმეტრის (1 ვიდეოთვალი) კონტროლს, მისი განცხადებით, მონიტორზე ხდებოდა მხოლოდ გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ერთი ვიდეოსამეთვალყურეო კამერის მიერ აღბეჭდილი კადრების მკაფიოდ დათვალიერება, ხოლო შენობის მეორე სართულზე განთავსებული კამერა აღწერდა დერეფნის მცირე მონაკვეთს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებდა მეორე ცვლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას. რადგან 15:00 საათიდან სკოლის შენობაში პარალელურად ფუნქციონირებდა ავტოსკოლა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით, ვიდეოკამერები უკვე მოწესრიგებული იყო, ხოლო ის ხარვეზი, რაც ექსპერტებმა დააფიქსირეს, მისი განმარტებით უკავშირდებოდა ინტერნეტის ცუდად მიწოდებას.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში წიგნების საერთო რაოდენობა შეადგენდა 800 ერთეულს. მისი თქმით, წიგნები თაროებზე დალაგებული იყო საგნების მიხედვით და დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო ბიბლიოთეკის მუშაობის საათები და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვიზიტისას ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა შემთხვევითი შერჩევით მოთხოვნილი ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების და სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოები.

სკოლის დირექტორმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ზემოაღნიშნული საგნების სახელმძღვანელოების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ნანა ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესისთვის საკმარისი ადამიანური რესურსი. 24 მასწავლებელიდან 15 იყო პრაქტიკოსი, ხოლო 9 უფროსი მასწავლებელი. ასევე, წარმოადგინა ინფორმაცია მასწავლებელთა პორტფოლიოებთან დაკავშირებით. ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რაც ექსპერტებმა გაუწიეს სკოლას შეფასების სისტემასთან, კერძოდ განმავითარებელი შეფასების ჩანაწერებთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შპს „თამარიონის“ გორის კერძო სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობაში. მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ქართული ენის, რუსული ენის, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადებში. ასევე ჩატარდა სადისკუსიო შეხვედრა ადა და კეროლ მიურატებთან. ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეები იმყოფებოდნენ სოფელ ჭკადუაში, მიურატების სახლმუზეუმში, სადაც დაათვალიერეს ნაპოლეონ ბონაპარტეს ნივთები და ჩაატარეს კვლევა საქართველოში მიურატების მოღვაწეობის შესახებ.

ექსპერტის განმარტებით, სკოლა ასევე აქტიურად მონაწილეობდა სამოქალაქო განათლებისა და პროფესიული ორიენტაციის პროექტებში.

საბჭოს წევრი გიორგი გიგიბერია დაინტერესდა იყო თუ არა ავტოსკოლა სკოლისგან იზოლირებული. სკოლის დირექტორის განმარტებით ავტოსკოლას ცალკე შესასვლელი ჰქონდა ქუჩის მხრიდან, თუმცა რადგან ხარვეზად დაფიქსირდა გადაიტანეს სხვა სენობაში.

საბჭოს წევრი ქეთევან აბულაძე დაინტერესდა სკოლაში არსებული სამედიცინო მომსახურებით. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა სამედიცინო ოთახი და ჰყავდა ექიმი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ლაბორატორიასთან დაკავშირებით, რაზედაც სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქონდათ გადასატანი ლაბორატორია და მასწავლებლებს გაკვეთილზე მიჰქონდათ საჭირო ნივთები. ირინა აბულაძემ ეჭვქვეშ დააყენა მოძრავი

ლაბორატორიის უსაფრთხოება და აღნიშნა, რომ ლაბორატორია ისეთი თემაა, რაც სერიოზულ ორგანიზებასა და უსაფრთხოების წესების დაცვას მოითხოვდა.

საბჭოს წევრებმა არჩილ სუმბაძემ და თამარ ფხალაძემ აღნიშნეს, რომ სკოლის ავტორიზაციას მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ შემდგომი მონიტორინგის განხორციელების პირობით. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა წინადადებას სკოლაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა თხოვნით დაეგემათ სკოლაში მონიტორინგი გონივრულ ვადაში და ხელახლა გადაემოწმებინათ: ვიდეოკამერების გამართულობა, ავტოსკოლის საკითხი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა რამდენად შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, არსებული რესურსების გათვალისწინებით, წარმოედგინა შუამდგომლობა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ, ამჟამად სკოლაში სწავლობდა 108 მოსწავლე და მათ სურდათ კონტინგენტის გაზრდა, რადგან დაგეგმილი ქონდათ მშენებარე ფართში კლასების დამატება.

საბჭომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად კონტინგენტის გაზრდა, რადგან სკოლა ისედაც ორ ცვლაში მუშაობდა და ექსპერტების მხრიდან კი ვერ მოხერხდა მშენებარე ფართის დათვალიერება და აღწერა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თამარიონისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 108-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თამარიონს (ს/კ:417876739) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 108-ით.

საბჭოს წევრმა გიორგი გახელაძემ დატოვა საბჭოს სხდომა 17:00 საათზე.

4. შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოადგინეს ექსპერტებმა დიმიტრი პოპოვმა და თამარ კუპრაშვილმა. დიმიტრი პოპოვმა აღწერა ვიზიტის შედეგები და საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნები თითოეული სტანდარტისათვის.

4.1 მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს „ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა მდებარეობდა ქალაქ ფოთში, გურიის ქუჩა, N16 - ში, საჯარო რეესტრის ამონაწერის N 04.02.11.030 თანახმად, სკოლა ფლობდა მიწის ნაკვეთს 52269 კვ.მ, სადაც განთავსებული იყო 7 შენობა-ნაგებობა, რომელიც სრულიად საქართველოს ავტოკეფალური მართმადიდებლური ეკლესიისგან უძრავი ქონების თხოვნების ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდათ გადაცემული 2011 წლიდან 15 წლის ვადით. აქედან სკოლა მხოლოდ 2 შენობას იყენებდა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. N1 და N2 კორპუსის შესასვლელებში, კიბეზე დამონტაჟებული იყო პანდუსები ეტლის გადასადგილებლად. N2 კორპუსში იყო ადაპტირებული სველი წერტილი, ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლისათვის. ექსპერტების რეკომენდაციით, სკოლამ დაიმატა სამეთვალყურეო ვიდეო კამერები და ერთი ცეცხლმაქრი.

საბჭოს მდივანი თამარ ფხალაძე დაინტერესდა, თუ რა სახის სასწავლო ოთახები იყო განთავსებული მეორე კორპუსში. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით სკოლის მეორე კორპუსში განთავსებული იყო ლაბორატორიის აღჭურვილობა (208 ერთეული) საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) სწავლებისთვის, სადაც ექსპერიმენტების ჩასატარებლად, დამონტაჟებული იყო გამწოვი და ხელსაბანი. იმავე შენობაში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი, სადაც თაროებზე

წიგნები თემატურად იყო განთავსებული და წიგნადი ფონდი შეადგენდა 4624 ერთეულს. სკოლის მე-2 კორპუსში იყო ასევე, სასაბავშვო, სამზარეულო, ექიმის კაბინეტი, სამკითხველო ოთახი, მუსიკის კაბინეტი, სველი წერტილები (ოთხ-ოთხი კაბინით) და ადაპტირებული სველი წერტილი.

4.2. ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შესაბამისი ადამიანური რესურსი. მისი განმარტებით, საშტატო განრიგით განსაზღვრული იყო სულ 67 თანამშრომელი, მათგან სასწავლო პროცესში ჩართული იყო 31 მასწავლებელი. სქემაში ჩართული იყო 27 პედაგოგი მათ შორის 5 იყო სერტიფიცირებული.

4.3 პროგრამულ ნაწილთან მიმართებით

ექსპერტმა დიმიტრი პოპოვმა აღნიშნა, რომ:

სკოლის საათობრივი ბაღე აზუსტებდა სწავლების სამივე საფეხურზე გაკვეთილების განრიგს თითოეული კლასის მიხედვით, საგნის მასწავლებელთა მითითებით. ასევე, შემაჯამებელი დავალებების განრიგს თითოეული კლასისა და საგნის მიხედვით. საათობრივი ბადით გათვალისწინებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო საგნის სწავლება.

სასწავლო გეგმის ნაწილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო და სადამზრდელო მომსახურება, სადაც მოსწავლეები ერთიანდებოდნენ შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

1. რელიგიის ისტორია (ისწავლება მე-5 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით);
2. მეტყველების კულტურა (ისწავლება მე-3, მე-4 კლასებში);
3. ზოგადი უნარები (მე-12 კლასში სტანდარტ ზევით მომსახურება -4 საათი).

სავალდებულო სასწავლო სახელმძღვანელოების ნუსხა სრულად მოიცავდა სწავლების სამივე საფეხურს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი სადამრიგებლო/სადამზრდელო პროგრამა. მასში განსაზღვრული იყო პროგრამის მიმართულება, თემა, მიზნები, აქტივობები, განხორციელების დრო.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსმ მოსწავლისათვის.

სკოლა სასწავლო პროცესში იყენებდა შეფასების სისტემას, რომელიც შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა მოიცავდა სკოლაში დანერგილ შეფასების მიდგომებს, საფეხურის დამლევს და კლასიდან კლასში გადასაყვანი მინიმალური ბარიერის განსაზღვრას, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობას, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის პროცედურას, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების პრინციპებს. სასწავლო წლის ბოლოს გამოცდა ტარდებოდა ყველა საგანში დაწყებით კლასებში ნამუშევარში ნიშნების მაგივრად მასწავლებლები წერდნენ მოკლე განმავითარებელ კომენტარს ყველა მოსწავლეზე, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს

უტარდებოდათ წლის ბოლოს დირექტორი უტარებდათ გამოცდას, გამოცდის ქულას უთანაბრებოდა შემაჯამებელი დავალებას და მისი ასახვა ჟურნალშიც შემაჯამებელი დავალების სახით ხდებოდა.

საბჭოს წევრი ქეთევან აბულაძე დაინტერესდა რელიგიის ისტორია დამატებითი სავალდებულო საგანი იყო, თუ არჩევითი.

ექსპერტის განმარტებით, იგი არჩევით სავალდებულო საგანს წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას მართალია გააჩნდა რესურსი უფრო დიდი რაოდენობის მოსწავლეთა მისაღებად, მაგრამ ისინი არჩევდნენ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ სწავლების ხარისხისათვის, რაც მოსწავლეთა არსებული რაოდენობის პირობებში უფრო მიღწევადი იქნებოდა. მათი სურვილი იყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 300 მოსწავლით. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ:215128644) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

5. შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა სერგო დურგლიშვილმა და ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოს წევრები იცნობდნენ ავტორიზაციის ვიზიტის დასკვნას, ყურადღებას მხოლოდ შენიშვნებზე გაამახვილებდა.

ექსპერტის განცხადებით ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც სკოლას ჰქონდა იყო ქონების გადაცემის საკითხი. დაწესებულების მიერ 2012 წელს იყო შესყიდული საჯარო სკოლის შენობა და დღესაც მიმდინარეობდა მოლაპარაკება ქონების მართვის სააგენტოსთან ქონების მფლობელობაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სკოლის გენერალური მენეჯერის 2017 წლის 28 თებერვალის N15 ბრძანებით მოხდა შენობის ფართის გამიჯვნა: 2075.21 კვ.მ. მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის და 116.94 კვ.მ. საბავშვო ბაღი „პატარა ბიზნესმენების“-თვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2012 წლის 16 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, შირაქის ქუჩა N20-ში მდებარე 1867 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა: N1, ფართობით 2192,15 კვ.მ და N2, ფართობით - 7,36 კვ.მ. პირდაპირი მიყიდვის ფორმით. მისი თქმით, მიუხედავად სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის და ქონების მართვის სააგენტოსთან წლების განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებისა 2016 წლამდე ვერ გაირკვა ვის უნდა გადაეცა ეს შენობა დაწესებულებისთვის მფლობელობაში.

ექსპერტ სერგო დურგლიშვილის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით, სკოლაში ირიცხებოდა 311 მოსწავლე, მათ შორის მშობელთა მიერ დაფინანსებულ სექტორში - 89, უფასო სექტორში - 222 მოსწავლე.

სკოლაში იყო 24 კლასი, მშობელთა მიერ დაფინანსებულ სექტორში - 12, უფასო სექტორში - 12 კლასი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში არსებობდა ფასიანი და უფასო კლასები. უფასო სექტორზე მიიღებოდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, რომლებიც სწავლობდნენ ცალკე კლასებში, თუმცა როგორც ფასიანი, ასევე უფასო სექტორის მოსწავლეები, ერთად მონაწილეობდნენ. სკოლის მიერ დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაში. გაიმართა დისკუსია, საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს უფასო და ფასიანი პარალელური კლასების არსებობა. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ ხელშეკრულებით იკისრა მოსწავლეთა უფასო სწავლების ვალდებულება, მათ რეკომენდაცია გაუწიეს სკოლას რომ მოეხდინა მოსწავლეთა ინტეგრაცია და არ გაემიჯნა ისინი კლასების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა განსხვავება იყო საათობრივ ბადეში სექტორების მიხედვით და რის საფუძველზე ხდებოდა მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვების მიღება უფასო სექტორზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, დაწესებულება 2017 წლამდე უფასო სექტორზე ყოველწლიურად მიიღებდა 37 მოსწავლეს, აღნიშნული რაოდენობა განისაზღვრა 2012 წელს სკოლადამთავრებულთა მონაცემების შესაბამისადორივე სექტორი სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მხოლოდ ფასიან სექტორს ემატებოდა დამატებითი საგნები. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ განათლებისა და მეცნიერების, ასევე, ეკონომიკის სამინისტროების წერილების საფუძველზე ევალუბრდნენ სოციალურად დაუცველთა მიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, რომ მაშინდელი რეკომენდაცია იქნებოდა, რომ არ შეზღუდულიყო მოსწავლეთა მიღება და უფასო სექტორზე მიღებისას შეიძლება უპირატესობა მინიჭებოდათ სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს, მაგრამ ეს არ ნიშნავდა რომ მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების მიღება შეიძლებოდა.

ექსპერტის, ქეთევან ბაცანკალაშვილის განმარტებით, ორივე სექტორზე მოსწავლეები თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ და უფასო სექტორის მოსწავლეთა მიმართ დისკრიმინაცია არ შეინიშნებოდა.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 49 თანამშრომელი. მათგან, 18 მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პრაქტიკოს მასწავლებლად, 15 - უფროს მასწავლებლად. სკოლაში იყო ქართული ხალხური ცეკვისა და ქართული ხალხური საკრავების წრის ორი ხელმძღვანელი. სკოლას ჰყავდა 10 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ადამიანური რესურსი შესაბამისი და საკმარისი იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად.

ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასწავლებელთა უმეტესობა აცნობიერებდა შემაჯამებელი დავალების ანალიზის საჭიროებას და მნიშვნელობას მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას, თუმცა შემაჯამებელი დავალებები უმეტესად, დახურულბოლოიანი ტესტების სახით იყო

წარმოდგენილი. ამასთან, მასწავლებელთა მიერ შემუშავებული ანალიზები მოიცავდა მოსწავლეთა შედეგების გაანალიზებას, პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის გზებს, თუმცა ანალიზი უფრო რაოდენობრივი და ზოგადი იყო, ვიდრე თვისებრივი და კონკრეტულ მოსწავლეზე ორიენტირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ არსებული რესურსების გათვალისწინებით, რა რაოდენობით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გააჩნდა დიდი მატერიალური რესურსი, მათი სურვილი იყო ამ ეტაპზე მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 440 მოსწავლით.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მჭევრის დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 440-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მჭევრის დამოუკიდებელ ბიზნეს სკოლას (ს/კ:208142339) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 440-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 17:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირინა აბულაძე

მდივანი

თამარ ფხალაძე

ა. შ.

თ. ფხალაძე